სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/93

ქ. თბილისი

19 აპრილი 2019

მარტინ ვოლფგანგ შეგისათვის სტუ-ის საპატიო დოქტორის ხარისხის მინიჭების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის, და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 აპრილის №01-05-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სამშენებლო ფაკულტეტის მენეჯმენტის სფეროში განსაკუთრებული მიღწევების აღსანიშნავად, საქართველოსა და გერმანიას შორის ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ მარტინ ვოლფგანგ შეგს მიენიჭოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ხარისხი;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**